საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები
(დასკვნა)

ქ. თბილისი, ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის ქ. №44-46 (ნაკ. კოდი № 01.17.10.002.398)
17 სართულიანი საცხოვრებელი შენობის საამშენებლო მოედანი



დირექტორი 

ბ. დევდარიანი

თბილისი 2020 წ.

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებზე

- ობიექტის დასახელება -მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობა.
- დამკვეთი - შპს „ტერასა ჯგუფი“ (ს/კ: 404 536 445).
- ობიექტის მდებარეობა (მისამართი) - თბილისი, ვაზისუბანი,
  შანდორ პეტეფის ქ. №44-46 (ნაკ. ს/კ: 01.17.10.002.398).
- დაპროექტების სტადია - მუშა პროექტი.
- შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II.
- ობიექტის ტექნიკური დახასიათება:
  - მშენებლობის ტიპი - ახალი მშენებლობა;
  - სართულიანობა - 17 მიწისზედა სართული;
  - სარდაფის ჩაღრმავება - 2 დონე;
  - შენობის ტიპი - კარკასული;
  - საძირკვლის სავარაუდო ტიპი - გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან გამომდინარე.

დასკვნის წარმოდგენა: 3 ეგზემპლიარი, ელვერსიის თანდართვით.

დამკვეთის წარმომადგენელი:

დასათაურება

I. შესავალი	4
II. ზოგადი ნაწილი. გეოგარემოს ზოგადი დახასიათება	5
II.1. კლიმატური პირობები	5
II.2. ჰიდროგრაფია	11
II.3. გეომორფოლოგია	11
II.4. შესწავლილობა. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება	12
II.4.1. საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა	12
II.4.2. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება	13
II.5. სეისმოლოგია	14
II.6. ჰიდროგეოლოგია	15
III. სპეციალური ნაწილი	16
III.1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები	16
III.2. ლაბორატორიულ-გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები	17
III.3. გრუნტის გამონატუტის სტანდარტული ანალიზის შედეგები	21
IV. დასკვნები და რეკომენდაციები	22
დანართები:	
დან.1. გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის შედეგები	24
დან.2. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	25
დან.3. ფიზიკური მახასიათებლების ექსპერიმენტული მონაცემების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების შედეგები	26
დან.4. გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების განსაზღვრის შედეგები	27
დან.5. გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგები	31
დან.6. წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ	32
გრაფიკები	
გრაფ.1-12. გრუნტის ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდის შედეგები	33
ნახაზები:	
ნახ.1. ჭაბურღილების განლაგების რუკა	45
ნახ.2-6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტი	46
ნახ.7-9. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები	51
ფოტომასალა	55

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა

პროგრამა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ.02.01-08 (შენობებისა და ნაგებობების ფუძეები) და ს.ნ. და წ. 2.02.03-85 მოთხოვნათა გათვალისწინებით. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბლისში, ვაზისუბანში, შანდორ პეტეფის ქ. №44-46-ში (ს/კ: 01.17.10.002.398). გათვალისწინებულია 17სართულიანი შენობის (დამატებით ორი მიწისქვეშა სართულით) მშენებლობა.

დამკვეთის შპს „ტერასა ჯგუფი“ (ს/კ:404 536 445)-ის მომართვის საფუძველზე უნდა ჩატარდეს, საამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. სამუშაოს მიზნობრივი დანიშნულებაა შენობების დაფუძნების პირობების დადგენა. საპროექტო შენობის საამშენებლო მოედანი მდებარეობს მამადავითის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირეთში და მოიცავს ფერდობის ქვედა ნაწილს და ფუძეს. საკვლევ ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ემიჯნება ახალი შენობის საამშენებლო მოედანი, დასავლეთიდან ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია, ჩრდილოეთით გადის შანდორ პეტეფის ქუჩაზე. საამშენებლო მოედანი აგებულია ზედა პალეოგენ-ქვედა ნეოგენური ასაკის საშუალო და თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და სუბარილიტების მორიგეობით, რომლებიც გადაფარულია დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხოვანი გრუნტებით, ამ უკანასკნელთ თავზე ადევს ნაყარი გრუნტები. საამშენებლო მოედნის რელიეფის ჩრდილო ნაწილი ტექნოგენურია. სამხრეთ ნაწილი წარმოადგენს ფერდობს, რომელიც დახრილია ჩრდილო მიმართულებით. შენობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით ჩატარდეს შემდეგი სახეობის სამუშაოები:

1. საველე სამუშაოების დაწყებამდე მოძიებული და შესწავლილი იქნას არსებული საფონდო და ლიტერატურული მასალა.

2. შენობების განთავსების მოედანზე გაყვანილ იქნას 5 სამთო გამონამუშევარი (ამ შემთხვევაში ჭაბურღილი). ჭაბურღილების ნორმატიული სიღრმე განისაზღვროს გეოლოგიური ჭრილის ლითოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე.

3. გამონამუშევრებიდან აღებული იქნას დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის, გრუნტების ნიმუშები, რომელთა რაოდენობა განისაზღვროს გრუნტების სახესხვაობებიდან გამომდინარე (ს.ნ. და წ. 1.02.07-87. პ. 3.75 მოთხოვნის მიხედვით). ნიმუშების კონსერვაცია და ტრანსპორტირება განხორციელდეს ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ. და წ. მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევებით უნდა დადგინდეს:

ა. გრანულომეტრიული შემადგენლობა; ბ. ფიზიკური თვისებები; გ. დეფორმაციული მახასიათებლები; დ. სიმტკიცის მახასიათებლები. ე. კლდოვანი ქანების ნორმატიულ სიღრმეზე ან უფრო ადრე გახსნის შემთხვევაში ბურღვა გაგრძელდეს ძირითად ქანებში 2-3 მ-ით ჩაღრმავებამდე (საღ ქანებამდე), ხოლო ნიმუშებს ჩაუტარდეს ტესტები ერთღერძა კუმშვაზე ზღვრული საანგარიშო წინაამღდეგობის განსაზღვრის მიზნით.

5. გრუნტის წყლის გამოვლინებისას უნდა დაფიქსირდეს დინამიკური და სტატიკური დონეები. განისაზღვროს წყლის სინჯის ქიმიური შემადგენლობა და მისი აგრესიულობის ხარისხი, სხვადასხვა ბეტონებისა და კონსტრუქციების მიმართ.

6. საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე ს.ნ.და წ. 1.02.07-87-ის მე-9 დანართის მოთხოვნათა გათვალისწინებით შედგეს ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში (დასკვნა), რომელშიც მოცემულია ნაგებობის ფუნდირების პირობები და შესაბამისი რეკომენდაციები. დასკვნა წარმოდგენილ იქნას 3 ეგზემპლიარად ელექტრონული ვერსიის თანდართვით. ტოპოგეგმა წარმოდგენილია დამკვეთის მიერ.

ინჟინერ-გეოლოგი ბ. დევდარიანი

I. შესავალი

შპს „ტერასა ჯგუფი“-ს (ს/კ: 404 536 445) დაკვეთით, ინდ.მეწარმე ბ. დევდარიანის მიერ, 2020 წლის 03 იანვრის ხელშეკრულების თანახმად ქ. თბილისში, ვაზიანის დასახლების ტერიტორიაზე, შანდორ პეტეფის ქ. №44-46, (ნაკ. ს/კოდი № 01.17. 10.002.398), 17 სართულიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობის საამშენებლო მოედანზე, დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით, ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

საკვლევი უბნის ტერიტორია მოიცავს მთის ფერდობის ნაწილს, რომლის ფუძეში მოწყობილია მოედანი (სავარაუდოდ ძველი ქვაბულია). შესაბამისად ტერიტორია დახრილია ჩრდილოეთისაკენ. ჩვენს მიერ ჩატარდა შემდეგი სახის და მოცულობის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები:

1. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია და მოძიებულია ადრე ჩატარებული კვლევების მასალები.

2. გაყვანილია 5 ჭაბურღილი თითოეული სიღრმით 13.5-15.0 მ. საერთო მოცულობით 71,5 გრძ.მ. ჭაბურღილიდან აღებულია გრუნტების სინჯები ლაბორატორიული კვლევებისათვის.

გრუნტების ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია სტუ-ს ფუძე-საძირკვლების მიმართულების ლაბორატორიაში პროფ. ნ. არეშიძის ხელმძღვანელობით. ნახევრად კლდოვან გრუნტებზე ტესტები შეასრულა ტ.მ. დოქტორმა გ. ბალიაშვილმა. კამერალური სამუშაოები და პროექტის საერთო კარდინაციას ახორციელებდა ინჟინერ-გეოლოგი ბ. დევდარიანი.

ჩატარებულ სამუშაოების ფიზიკური მოცულობები მოყვანილია ცხერილში 1.1.

ცხრილი 1.1.

№	სამუშაოთა სახეობა	განზომილება	რაოდენობა
1.	არსებული საფონდო მასალების ანალიზი	-	-
2.	ა) ჭაბურღილების გაყვანა, 5 ჭაბურღილი თითოეული სიღრმით 13.5-15.0მ	გრძ.მ.	71.5
3.	სინჯების აღება კომპლექსური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისათვის	სინჯი	18
4.	საველე დოკუმენტაციის შედგენა	გრძ.მ.	71.5
5. 5.1. 5.2.	ლაბორატორიულ-გეოტექნიკური კვლევები: ა) შეკავშირებული გრუნტები ბ) ნახევრად - კლდოვანი ქანები	კომპლექსი ტესტი	 12 6
6.	ანგარიშის შედგენა	დასკვნა	1

უბნის ტოპოგეგმა (მასშტაბი 1:500) წარმოდგენილია დამკვეთის მიერ.

II. ზოგადი ნაწილი. გეოგარემოს ზოგადი დახასიათება

II.1. კლიმატური პირობები

საამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების შეფასებისათვის (უშულოდ ვაზისუბნის დასახლების ტერიტორიის მონაცემები არ არსებობს) ამიტომ გამოყენებულია მეზობელი ტერიტორიების მეტეოსადგურებისა და „საამშენებლო კლიმატოლოგია“-ს (პნ.01.02-08) მონაცემები. საერთო კლიმატური პირობები ზომიერ-კონტინენტურია. აქ კარგად გამოიყოფა ჰაერის ცირკულირების ორი ძირითადი მიმართულება, დასავლეთის და აღმოსავლეთის, რომელსაც რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე ახასიათებს ცალკეული გადახრები, მაგრამ ეს უკანასკნელნი კლიმატის საერთო ზოგად სურათს ვერ ცვლიან. დასავლეთიდან მომავალი ნაკადები დაღმავალია და გამოშრობის პროცესების წარმოქმნას განაპირობებს, ხოლო აღმოსავლეთიდან მომდინარე ჰაერის მასები კი აღმავალია და კონდენსაციის, ნალექწარმოქმნის პროცესებს უწყობს ხელს.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია კლიმატის ცალკეული ელემენტების ნორმატიული და საანგარიშო პარამეტრები, აღებული ს.ნ. და წ. „საამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ. 01.06-08)-ის მიხედვით.

პუნქტების კოორდინატები, ბარომეტრული წნევა

ცხრილი 1

პუნქტი	კოორდინატები			ბარომეტრული წნევა (ჰპა)
	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	
თბ. ვარკეთილი	41⁰48’	44⁰48’	449	950

სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

ცხრილი 2

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ივლისი ფარდობითი ტენიანობა, %
III	IIIგ	0-დან +2-მდე	-	+25-დან +28-მდე	-

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

ცხრილი 3

პუნქტი	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
თბ. ვარკეთილი	IIIგ

ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი S და ჯამური რადიაცია Q, კვტ·სთ/მ^2 თვეში

ცხრილი 4

პუნქტი	იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
	S	Q	S	Q	S	Q	S	Q
თბ. ვარკეთილი	22	49	74	135	125	195	53	92

მზის პირადპირი S და ჯამური Q რადიაცია ჰორიზონტალური და
α კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ·სთ/მ² დღეში

ცხრილი 5

პუნქტი	პირდაპირი რადიაცია S								ჯამური რადიაცია Q							
	იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი		იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
თბ. ვარკეთილი	ჰ.ზ.	$\alpha=65^0$	ჰ.ზ.	$\alpha=30^0$	ჰ.ზ.	$\alpha=10^0$	ჰ.ზ.	$\alpha=50^0$	ჰ.ზ.	$\alpha=65^0$	ჰ.ზ.	$\alpha=30^0$	ჰ.ზ.	$\alpha=10^0$	ჰ.ზ.	$\alpha=50^0$
	0.7	1.7	2.5	2.8	4.0	4.1	1.7	2.7	1.6	2.4	4.5	5.0	6.3	6.4	3.0	4.0

ვერტიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ·სთ/მ² თვეში

ცხრილი 6

პუნქტი	იანვარი					აპრილი					ივლისი					ოქტომბერი				
	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს
თბ. ვარკეთილი	0	0.4	12	35	49	0.7	14	33	42	40	8	31	54	48	32	0	5	26	53	69

აღნიშვნები: ჩ – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი, ა – აღმოსავლეთი, დ – დასავლეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ-დასავლეთი, ს - სამხრეთი.

ვერტიკალურ ზედაპირზე მზის ჯამური რადიაცია Q, კვტ·სთ/მ² თვეში

ცხრილი 7

პუნქტი	იანვარი					აპრილი					ივლისი					ოქტომბერი				
	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს	ჩ	ჩა, ჩდ	ა, დ	სა, სდ	ს
თბ. ვარკეთილი	18	18	29	54	69	45	57	74	85	84	62	84	102	100	88	28	33	53	86	101

აღნიშვნები: ჩ – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი, ა – აღმოსავლეთი, დ – დასავლეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ-დასავლეთი, ს - სამხრეთი.

მზის პირდაპირი და გაბნეული რადიაცია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ზედაპირზე ივლისში, კვტ·სთ/მ² (პუნქტი - თბ. ვარკეთილი)

ცხრილი 8

ორიენტაცია	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	განედი, გრადუსი	დღის საათები მზის ჭეშმარიტი დროით																	დღის ჯამი $\frac{\sum S}{\sum D}$	$\frac{\sum S + \sum D}{24}$
			0-4	4-5	5-6	6-7	7-8	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16	16-17	17-18	18-19	19-24		
ჰორიზონტა-ლური	-	42	-	0.003	0.07	0.17	0.35	0.51	0.63	0.73	0.77	-	-	-	-	-	-	-	-	6.46	0.332
				0.005	0.05	0.08	0.10	0.12	0.13	0.13	0.14									1.50	
ვერტიკალური	ჩრდილოეთი	42	-	-	0.12	0.10	0.03	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.50	0.071
				0.002	0.05	0.10	0.10	0.10	0.09	0.08	0.08									1.20	
ვერტიკალური	სამხრეთი	42	-	-	-	-	0.003	0.08	0.17	0.25	0.28	-	-	-	-	-	-	-	-	1.56	0.118
					0.03	0.07	0.10	0.11	0.11	0.11	0.11									1.28	
ვერტიკალური	ჩრდ-აღმოსავ-ლეთი, ჩრდ-დასავლეთი	42	-	0.02	0.23	0.41	0.43	0.33	0.19	0.05	-	-	-	-	-	-	-	-	-	1.66	0.123
				0.002	0.07	0.13	0.15	0.14	0.11	0.10	0.09	0.09	0.09	0.08	0.08	0.08	0.06	0.03		1.30	
ვერტიკალური	აღმოსავლეთი, დასავლეთი	42	-	0.03	0.30	0.50	0.57	0.56	0.45	0.28	0.10	-	-	-	-	-	-	-	-	2.79	0.175
				0.004	0.08	0.15	0.18	0.16	0.13	0.11	0.10	0.09	0.08	0.08	0.08	0.07	0.06	0.03		1.40	
ვერტიკალური	სამხ-აღმოსავ-ლეთი, სამხ-დასავლეთი	42	-	-	0.08	0.24	0.38	0.45	0.44	0.37	0.28	0.13	0.01	-	-	-	-	-	-	2.38	0.154
					0.05	0.12	0.15	0.15	0.13	0.11	0.10	0.10	0.09	0.08	0.08	0.07	0.06	0.03		1.32	

მზის ამოსვლისა (ა) და ჩასვლის (ჩ) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი) (პუნქტი - თბ. ვარკეთილი)

ცხრილი 9

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერ-ვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემ-ბერი	ოქტომ-ბერი	ნოემბერი	დეკემ-ბერი
42	ა	7.25	6.56	6.13	5.21	4.40	4.24	4.37	5.07	5.39	6.12	6.50	7.21
	ჩ	16.53	17.32	18.05	18.39	19.12	19.36	19.35	19.03	18.11	17.20	16.38	16.29

მზის სიმაღლე შუადღისას თვის 15 რიცხვისათვის, გრად. (პუნქტი - თბ. ვარკეთილი)

ცხრილი 10

განედი, გრადუსი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
42	26.8	34.9	45.8	57.7	66.8	71.3	69.6	62.2	51.1	39.6	29.6	24.7

ჰაერის ტემპერატურა

ცხრილი 11

პუნქტი	გარე ტემპერატურა, ^{0}C																			პერიოდი <8^{0}C საშუა-ლო თვიუ-რი ტემპე-რატურა		საშუალო ტემპერა-ტურა 13 სთ-ზე	
	თვის საშუალო												წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელ თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთ-დღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	ხანგრძლივობა	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელ თვისათვის
	თვეები																						
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII												
თბ. ვარკეთილი	-0.1	1.4	5.1	10.6	15.9	19.8	22.2	22.4	18.8	13.3	6.9	2.2	11.5	-24	40	30	-9	-12	-0.1	147	2.8	3.1	26.9

ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

ცხრილი 12

პუნქტი	თვის საშუალო, ^{0}C												თვის მაქსიმალური, ^{0}C											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თბ. ვარკეთილი	7.8	8.1	9.4	10.5	10.6	11.1	11.5	11.6	10.5	9.7	7.9	7.9	21.0	18.5	20.0	20.4	21.0	17.7	18.9	20.3	22.5	20.4	19.0	18.7

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

ცხრილი 13

პუნქტი	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღეღამ. ამპლიტუდა	
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელ თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელ თვის
თბ. ვარკეთილი	73	71	68	65	66	61	58	56	64	72	76	76	67	60	40	20	30

გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ჰპა

ცხრილი 14

პუნქტი	იანვარი	თებერ-ვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემ-ბერი	ოქტომ-ბერი	ნოემბერი	დეკემ-ბერი	წლის საშუალო
თბ. ვარკეთილი	4.8	5,0	5.8	8.4	13.1	16.0	16.1	16.4	13.4	10.0	7.9	5.8	9.9

ნალექების რაოდენობა

ცხრილი 15

პუნქტი	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
თბ. ვარკეთილი	550	143

ირიბი წვიმების რაოდენობა, განაწილება ორიენტაციების მიხედვით

ცხრილი 16

პუნქტი	ირიბი წვიმების რაოდენობა, მმ-ში			ირიბი წვიმების განაწილება ორიენტაციების მიხედვით, მმ/%							
	თვის მაქსიმუმი	თბილ პერიო-დისათვის	წელიწადში	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ
თბ. ვარკეთილი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

თოვლის საფარი

ცხრილი 17

პუნქტი	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა,მმ
თბ. ვარკეთილი	0.50	14	-

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

ცხრილი 18

პუნქტი	w^0 5 წელიწადში ერთხელ, კპა	w^0 15 წელიწადში ერთხელ, კპა
თბ. ვარკეთილი	0.73	0.85

ქარის მახასიათებლები

ცხრილი 19

პუნქტი	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15, 20 წელიწადში ერთხელ მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
თბ. ვარკეთილი	28	33	35	36	37	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

ცხრილი 20

პუნქტი	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
თბ. ვარკეთილი	23	28	30	24

II.2. ჰიდროგრაფია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდ. მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენა ნაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში ახასიათებს.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია: დიღმისწყალი, ვერე და წავკისისხევი.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. ამან გამოიწვია ლანდშაფტის ნაირგვარობა, რომელიც გამოიხატა აქ ორი ძირითადი ტიპისა და ერთი ქვეტიპის გავრცელებაში. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით მთიან ნაწილებში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

II.3. გეომორფოლოგია

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვარია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენანაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მუდმივად თუ პერიოდულად მოქმედი მდინარეთა ხევებით და ხრამებით.

თბილისის მიდამოებში არის რელიეფის მსხვილი ფორმები, რომელთა წარმოქმნაში წამყვანი როლი ტექტონიკურმა პროცესებმა შეასრულა: სხვადასხვა დროის ოროგენეტიკური მოძრაობების შედეგად აქ ჩაისახა და განვითარდა სინკლინური და ანტიკლინური

ნაოჭები. ოროგრაფიული ერთეულებიდან თბილისის სამხრეთ საზღვარზეა თელეთის ქედი, რომლის სიგრძე მდ. მტკვრიდან დასავლეთით 13-14 კმ-ზეა გადაჭიმული, ამავე მიმართულებით ქედი მაღლდება 441.0 მ-დან 1100.0 მ-მდე. თელეთის ქედზე მდებარეობს მწ. შავნაბადა (825 მ). თელეთის ქედის გაგრძელებას დასავლეთით წარმოადგენს კოჯორ-საყარაულოს ქედი (მწ. საყარაულო 1473 მ), რომელიც დასავლეთით თანდათან მაღლდება და მდინარეების ვერესა და ალგეთის საკმაოდ მაღალი წყალგამყოფით უკავშირდება თრიალეთის მთავარ ქედს. თელეთის ქედის სამხრეთით მდებარე კუმის-წალასყურის ვაკე და კუმისის ტაფობი ვაკე - წალასყურის სერით ორად იყოფა: წალასყურის (აღმოსავლეთით) ვრცელ და მაღალ (ზ.დ. 600-700 მ) და კუმისის (დასავლეთით) შედარებით დაბალ (ზ.დ. 500 მ-მდე) და მცირე ვაკედ.

თბილისის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მდებარეობს ფონიჭალის ვაკე, რომელსაც ჩრდილოეთით თელეთის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით იაღლუჯის მაღლობის ჩრდილოეთი კალთები, დასავლეთით კუმის-წალასყურის ვაკის აღმოსავლური კიდე და ის ბექობი, კუმისის ტბას, რომ ეკვრის აღმოსავლეთიდან. ფონიჭალის ვაკე მტკვრის ნაპირამდე ვრცელდება, მისი ზედაპირი სწორია და დაფარულია მეოთხეული ასაკის ფხვიერი დანალექებით. თელეთის ქედის ჩრდილოეთით, მტკვართან ახლოს, ჩადაბლებულ ადგილში მდებარეობს კრწანისის ვაკე, მას სამკუთხედის ფორმა აქვს და ფუძით არის ორიენტირებული. ჩრდილოეთით მას თაბორის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით თელეთის ქედი. აბსოლუტური სიმაღლე 380-425 მეტრის ფარგლებში მერყეობს. სიგრძე 2.5 კმ-ია, სიგანე 0.2-1.0 კმ-ია. ვაკე აგებულია მეოთხეული ფხვიერი დანალექებით.

აღმოსავლეთი დაბოლოებით თბილისის ფარგლებშია შემოჭრილი და თითქმის მტკვრამდე აღწევს თაბორის ქედი, რომლის ჩრდილოეთ ფერდი ციცაბოა, სამხრეთი კი დამრეცი. უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს ტუფოგენური წყებით აგებული სოლოლაკის ქედი, რომელიც დასავლეთი ბოლოთი მთაწმინდის ქედს უერთდება. მთაწმინდის ქედი დასავლეთით მაღლდება და თელეთის ქედს ებმის. აღმოსავლეთით კი ციცაბო ფერდობით აწყდება თბილისს. მასზე მდებარეობს ფუნიკულიორის პლატო (725 მ). დასავლეთ ნაწილში კი მთა უძო, რომლის სიმაღლე ზ.დ. 1418 მ-ს აღწევს. მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს ლისის ქედი.

II.4. შესწავლილობა, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება

II.4.1. საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური

ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

ქ. თბილისისათვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949 წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს და განზოგადოებულია ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ. მიუხედავად შესწავლილობის საკმაოდ მაღალი ხარისხისა, ისინი ატარებენ ზოგად რეგიონალურ ხასიათს და კონკრეტული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების აუცილებლობას ვერ გამორიცხავენ.

II.4.2. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი მიდამოები აგებულია მესამეული ასაკის ტერიგენული და ტუფოგენური ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეულ (მდინარეულ და ტბიურ) დანალექებს.

მარჯვენანაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედაეოცენურ დანალექებს, რომელიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. ამ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები უხეშშრეობრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფარით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთისა და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადა-

დიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით. თელეთის ქედის დასავლეთ გაგრძელებაზე მდებარე კოჯორის ქედის აგებულებაში ეოცენის თიხებთან და ქვიშაქვებთან ერთად მონაწილეობს აგრეთვე შუა ეოცენის ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფობრექჩიები, ქვიშაქვები და ფიქლები. ოლიგოცენ-შუამიოცენის ასაკის თაბაშირიანი თიხებით და ქვიშაქვებით არის აგებული შედარებით მცირე ფართობი, დიღმის ვაკის დასავლეთით მდებარე თრიალეთის ქედის მთისწინეთი.

თბილისსა და მის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. ახალგაზრდა (თანამედროვე) ალუვიური ნალექები კენჭნარისა და ქვიშებისაგან შედგება და ვიწრო ზოლად გასდევს მდ. მტკვარს. მეოთხეული ალუვიური კენჭნარებით, ქვიშებით, თიხნარით და თიხებით არის დაფარული დიღმის და ფონიჭალის ვაკე. დელუვიურ-პროლუვიური ნალექები, რომელიც მეტწილად თიხნარების, ლიოსისებური თიხებისა და ღორღისაგან შედგება, გავრცელებულია მთაწმინდისა და თელეთის ქედის ფერდობებზე, საბურთალოს და დიღმის მიდამოებში. თვით ქალაქში და მის მიდამოებში განვითარებულია ტბიური ნალექები: კუმისის და ლისის ტბების ქვაბულში, ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე და სხვა.

თბილისსა და მის მიდამოების რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტოქედზე. თბილისის მეწყერები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალჭრელიძეს.

II.5. სეისმოლოგია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისი-მანგლისის ქვეზონაში, რომელიც მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამკვეთი ტექტონიკური რღვევებით. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

თბილისში (6-7 ბალი) – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში. XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების ბიძგების ხანგრძლივობა 2.1-დან 3.6 წამამდე მერყეობს. სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

ქვემოთ მოგვყავს სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ, არსებული დასახლებული პუნქტებისათვის: დაბა კოჯორი - 0.14 მ/წმ^2; ქ. თბილისი - 0.17 მ/წმ^2; შინდისი - 0.14 მ/წმ^2; წავკისი - 0.14 მ/წმ^2; ტაბახმელა - 0.14 მ/წმ^2.

II.6. ჰიდროგეოლოგია

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების შედარებით მაღალი დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით. მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალი ტერასები თითქმის უწყლოა, იშვიათად ძირითადი ქანების კონტაქტზე გვხვდება მაღალი მინერალიზაციის გრუნტის წყლები სულფატურ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობის და მცირე დებიტიანი. ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები გავრცელებულია შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექ და ზედა ცარცულ კარბონატულ დასტებთან.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები, საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 35^0 დან 65^0 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, შუა მიოცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე დებიტიანი, ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალოვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

უშუალოდ საკვლევ უბანზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი არ არის. ზედაპირული წყლები მხოლოდ წვიმისა და თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და ფართობულ ხასიათს ატარებენ.

III. სპეციალური ნაწილი

III.1. საამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2000 წ) საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. კერძოდ, უბანი განთავსებულია მამადავითის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაზე, რომელიც იძირება მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირეთში. უბნის ტერიტორია ძირითადად ტექნოგენური რელიეფით ხასიათდება (მისი აბს. ნიშნულებია 495-504 მ). მოიცავს ფერდობის ქვედა ნაწილს და ფუძეს. კვლევების მომენტისათვის ადრინდელი ან თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების მიმდინარეობის კვალი არ შეინიშნება. უბნის ტერიტორია გეოდინამიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით მდგრად პირობებშია. საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის თვალსაზრისით ს.ნ და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად, განეკუთვნება II საშუალო კატეგირიას.

უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ, ზედა პალეოგენ-ქვედა ნეოგენური ასაკის წარმონაქმნები, რომლებიც წარმოდგენილია ნაცრისფერი, მოლურჯო, საშუალო და თხელშრეებრივი ქვიშაქვებით თიხის ცემენტზე და მუქი ნაცრისფერი მოშავომდე, თხელ და საშუალო შრეებრივი არგილიტებით, რომლებშიც კრისტალური თაბაშირის ფირფიტების არსებობა აღინიშნება. ეს ნალექები ზედა ნაწილში ძლიერ გამოფიტულია, პრაქტიკულად გათიხებულია. მათში ჩანართების სახით წარმოდგენილია ქვიშაქვების ღორღი და ხვინჭა.

მათ თავზე ადევს დელუვიურ-პროლუვიალური გენეზისის მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭა-ღორღის ჩანართებიანი თიხნარები, რომლებიც თავის მხრივ გადაფარულია ფერდობის ქვედა ნაწილში ტექნოგენური, ხოლო ფერდობის სიღრმეში ნიადაგ-გრუნტებით.

უბნის ტერიტორის რელიეფი ფერდობულ ნაწილში დახრილია ჩრდილოეთის მიმართულებით 25-35^0-ით, ხოლო ფუძეში იგი ტექნოგენურია, მოსწორებულია.

დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის დადგენის მიზნით გაყვანილია 5 ჭაბურღილი, რომლებითაც გახსნილ ჭრილს აქვს შემდეგი ზოგადი სახე:

I - ფენა - 0.0–1.0 მ - ნაყარი, თიხნარი, ღორღი, ხვინჭის, იშვიათად ღორღის, საამშენებლო ნარჩენების და მცენარეთა ფესვების ჩანართებით (tQ_4). გავრცელებულია საამშენებლო მოედნის მთელ ტერიტორიაზე.

II - ფენა - 1.0–3.5 მ - სგე-1, თიხნარი მოყვითალო-ყავისფერი, მშრალი, მტვეროვანი, ქვიშაქვების ხვინჭის და ღორღის ჩანართებით (dpQ_4). გავრცელებულია საამშენებლო მოედნის მთელ ტერიტორიაზე.

III ფენა - 3.5-7.0 მ - ძლიერ გამოფიტული, ძლიერ დისლოცირებული (3-12 სმ-იანი ნატეხები) ქვიშაქვები თიხის ცემენტზე და გათიხებული სუბარგილიტები (eLQ_4). ჩვენს მიერ განიხილება, როგორც თიხა ღორღის და ხვინჭის ჩანართებით. გავრცელებულია საამშენებლო მოედნის მთელ ტერიტორიაზე.

IV ფენა - 7.0-15.0 მ - ქვიშაქვები, მუქი ნაცრისფერი მოლურჯო თხელ და საშუალო შრეებრივი და სუბარგილიტები მუქი ნაცრისფერი მოშავომდე, სუსტად გამოფიტული (P_2^3 - N_1^1).

ნახევრად კლდოვანი ქანების დაქანების აზიმუტია ჩრდ. დასავლეთის 345-350^0. ქანების დახრის კუთხე 15-20^0.სუბარგილიტების და ქვიშაქვების შეფარდება დასტაში შეადგენს 60:40%. ლაბორატორიული კვლევების დროს, წყალში სუბარგილიტი დაიშალა, რის გამოც მზიდუნარიანობის (R_0) შეფასებისათვის მიღებული სიდიდე უნდა შემცირდეს 40%-ით. შესაბამისად გამოყენებულია კოეფიციენტი 0.6.

ჭაბურღილების გაყვანის მომენტისათვის გრუნტის წყლების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია.

III.2. ლაბორატორიულ-გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები

საველე საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, სტანდარტი 20522-75 რეკომენდაციების, ასევე რელიეფის თავისებურებებისა და შენობის მიწისქვეშა სართულების რაოდენობის გათვალისწინებით (I ფენა - ნაყარი არ განიხილება ფუნდირებისათვის, რადგანაც ის ექვემდებარება მოხსნას, შესაბამისად მათზე ლაბორატორიული კვლევები არ ჩატარებულა, ფონდური და ნორმატიული მასალების თანახმად მათი ბუნებრივი სიმკვრივე შეადგენს 1.73 გ/სმ^3). საველე და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, ჩვენს მიერ გამოიყო 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

სგე-1, თიხნარი;

სგე-2, თიხა (ძლიერ გამოფიტული, გათიხებული ნახევრად კლდოვანი ქანები);

სგე-3, სუსტად გამოფიტული, სუსტად დისლოცირებული, ნახევრად კლდოვანი ქანები

გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები მოცემულია დანართებში 1-4.

ზემოთ ჩამოთვლილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების გეოტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრა შემდეგი სნ და წ-სა და სტანდარტების მიხედვით:

- გრანულომეტრიული შემდგენლობა – სტანდარტი 12.536-79.
- ფიზიკური თვისებები – სტანდარტი 51.80-84.

- სიმტკიცის მახასიათებლები – სტანდარტი 12.248-78.
- დეფორმაციის მახასიათებლები – სტანდარტი 23.408-79.
- გრუნტების კლასიფიკაცია – სტანდარტი 25.100-82.
- კლიმატური პირობები-პნ. 01.05.08. ,,საამშენებლო კლიმატოლოგია“
- გრუნტების საანგარიშო წინააღმდეგობა R_0, სნ და წ. პნ. 02.01-08.
- წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე - სნ და წ. პნ. 02.01.-08
- გრუნტებისა და საამშენებლო მოედნის სეისმურობა სნ და წ. პნ. 01.01.09.
- ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით – სტანდარტი 20.522.75.

სგე-1, თიხნარი

გრანულომეტრიული შემადგენლობა %:

- ღორღი - 5.5
- ხვინჭა - 21.1
- ქვიშა - 27.3
- მტვერი - 20.6
- თიხა - 25.5

• ფრაქციის შემცველობა:

- წვრილმარცვლოვანი ფრაქცია, %, d < 2 მმ – 73.4
- მსხვილმარცვლოვანი ფრაქცია, %, d > 2 მმ – 26.6

ნორმატიული სიდიდეები

- ბუნებრივი ტენიანობა, $W^ნ$ % – 14.0
- სიმკვრივე გ/სმ^3:

ა) ბუნებრივი $\rho^ნ$ – 1.80

ბ) ჩონჩხის, $\rho_d^ნ$ - 1.59

- ფორიანობის კოეფიციენტი, $e^ნ$ – 0.690
- პლასტიკურობის რიცხვი, $Jp^ნ$ – 0.14
- წყალშემცველობის ხარისხი, Sr - 0.54
- დეფორმაციის მოდული $E^ნ$, კგძ/სმ^2 – 190 (პნ. 02.01.-08)
- შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi^ნ$, გრადუსებში (პნ. 02.01.-08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 23^{0}30’, tgφ=0.4348

- შეჭიდულობა $C^ნ$ კგძ/სმ^2:

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 0.28 (პნ. 02.01.-08)

- კონსისტენციის მაჩვენებელი- < 0 (მყარი)

საანგარიშო სიდიდეები

- ტენიანობა, $W^ს$%, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $W^{ს}$ –15.0-13.0

- ბუნებრივი სიმკვრივე, $\rho^{ს}$ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $\rho_{ძ}^{ს}$ –1.86-1.74

- ჩონჩხის სიმკვრივე, $\rho_{ძ}^{ს}$ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $\rho_{ძ}^{ს}$ – 1.64-1.54

- ფორიანობის კოეფიციენტი, $e^{ს}$, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $e^{ს}$ – 0.736-0.644

- პლასტიკურობის რიცხვი Ip, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95, Ip-0.145-0.135

- დეფორმაციის მოდული $E^{ს}$ კგძ/სმ^2 -190.0 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.0)

- შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi^{ს}$, გრადუსებში (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.15)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 20^{0}42’ (tgφ=0.3780)

- შეჭიდულობა $C^{ს}$ კგძ/სმ^2 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.5)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 0.187

- საანგარიშო წინააღმდეგობა, კონსისტენციის J_L <0 და ფორიანობის კოეფიციენტის e=0.690 პირობებში, შეადგენს R_0 = 2.0 კგძ/სმ^2.

- საგების კოეფიციენტი კგძ/სმ^2 - 0.5

- პუასონის კოეფიციენტი μ - 0.36

- ქვაბულის ქანობი- 1:0.5 (63^0)

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II.

- გრუნტის დამუშავების კატეგორია - IIIჯგ. - სნ და წ. IV-5 82, ცხრ.1, პ-33გ.

სგე-2, თიხა (ნახევრად კლდოვანი ქანების ელუვიონი)

- ღორღი - 18.5

- ხვინჭა - 13.1

- ქვიშა - 5.3

- მტვერი - 9.6

- თიხა - 53.5

- ფრაქციის შემცველობა:

- წვრილმარცვლოვანი ფრაქცია, %, d < 2 მმ – 68.4

- მსხვილმარცვლოვანი ფრაქცია, %, d > 2 მმ – 31.6

ნორმატიული სიდიდეები

- ბუნებრივი ტენიანობა, $W^{ნ}$ % – 19.8

- სიმკვრივე გ/სმ^3:

ა) ბუნებრივი $\rho^ნ$ – 2.03

ბ) ჩონჩხის, $\rho_d^ნ$ - 1.69

- ფორიანობის კოეფიციენტი, $e^ნ$ – 0.610

- პლასტიკურობის რიცხვი, $Jp^ნ$ – 0.18

- წყალშემცველობის ხარისხი, Sr - 0.88

- დეფორმაციის მოდული $E^ნ$, კგძ/სმ^2 – 260 (პნ. 02.01.-08)

- შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi^ნ$, გრადუსებში (პნ. 02.01.-08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 20^{0}28’(tgφ=0.3732)

- შეჭიდულობა $C^ნ$ კგძ/სმ^2:

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 0.74 (პნ. 02.01.-08)

- კონსისტენციის მაჩვენებელი- 0.04 (ნახევრადმყარი)

საანგარიშო სიდიდეები

- ტენიანობა, $W^ს$%, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $W^ს$ –21.4-18.6

- ბუნებრივი სიმკვრივე, $\rho^ს$ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $\rho_d^ს$ –2.06-2.00

- ჩონჩხის სიმკვრივე, $\rho_d^ს$ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $\rho_d^ს$ – 1.72-1.66

- ფორიანობის კოეფიციენტი, $e^ს$, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $e^ს$ – 0.643-0.577

- პლასტიკურობის რიცხვი $Jp^ს$, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95, Jp-0.145-0.135

- დეფორმაციის მოდული $E^ს$ კგძ/სმ^2 -260.0 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.0)

- შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi^ს$, გრადუსებში (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.15)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 18^{0}59’ (tgφ=0.3245)

- შეჭიდულობა $C^ს$ კგძ/სმ^2 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.5)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 0.49

- საანგარიშო წინააღმდეგობა, კონსისტენციის J_L=0.04 და ფორიანობის კოეფიციენტის e=0.610 პირობებში, შეადგენს R_0 = 2.5 კგძ/სმ^2.

- საგების კოეფიციენტი კგძ/სმ^2 – 3.0

- პუასონის კოეფიციენტი μ - 0.41

- ქვაბულის ქანობი- 1:0.5 (63^0)

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II.

- გრუნტის დამუშავების კატეგორია - IV - სნ და წ. IV-5 82, ცხრ.1, პ-28ა.

სგე-3, სუსტად გამოფიტული, ნახევრად კლდოვანი ქანები

ნორმატიული სიდიდეები

- სიმკვრივე გ/სმ^3:

ა) ბუნებრივი ρ^6 – 2.34

- წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე R_s, კგძ/სმ^2:

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 100.4

ბ) წყალგაჯერებულ მდგომარეობაში - 60.2

- შრეების პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით დასტაში (60/40%) და წყალში სუბარგილიტების დაშლის გამო ტესტების მაჩვენებლები მცირდება 40%-ით.

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 100.4 × 0.6 = 60.24

ბ) წყალგაჯერებულ მდგომარეობაში - 60.2 × 0.6 = 36,12

- დარბილების კოეფიციენტი K_{sof} - 0.60 (დარბილებდი)

- საგების კოეფიციენტი კგძ/სმ^2 – 40.0

- პუასონის კოეფიციენტი μ - 0.25

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - I.

- გრუნტის დამუშავების კატეგორია სნ და წ IV-2-82 მიხედ. მიეკუთვნება -VI$_ჯ$. პ-28ბ.

III.3. გრუნტის გამონატუტის სტანდარტული ანალიზის შედეგები

ჭაბ. №3 აღებულ წყლის სინჯზე განხორციელდა ანალიზი, მისი ქიმიური შემადგენლობისა და აგრესიულობის დასადგენად ნახშირბადოვან ფოლადის (არმატურის) მიმართ. გრუნტის სინჯის აღების სიღრმე 2.7 მ.

სინჯის მშრალი ნაშთი შეადგენს 2.728 გ/ლ. წყალი სულფატურ-კალციუმიანია. ძალზე მაღალი საერთო სიხისტით 106.4^0, კარბონატული 19.6^0, ასევე მაღალი მინერალიზაციით 2.713 გ/ლ, აგრესიული CO_2 – 35.2, დაბალია ამონიუმის (NH_4^+) შემცველობა - 0.1 გ/ლ.

აგრესიულობა W_4 მარკის ბეტონის მიმართ, ქანების ფილტრაციის კოეფიციენტი $K>10^{-1}$ მ/დღ შემთხვევაში ფასდება, როგორც „**ძლიერი**“, შეფასება იგივეა W_6 მარკის ბეტონის მიმართ, როცა $K<10^{-1}$ მ/დღ („**ძლიერი**“). აგრესიული CO_2-ის ნახშირბადოვან ფოლადზე ზემოქმედების ხარისხი ფასდება, როგორც „**სუსტი**“.

გამოკვლეული სინჯის აგრესიულობა ნახშირბადიანი ფოლადის მიმართ ფასდება ს.ნ. და წ. 2.03.11-85 მიხედვით.

განსახილველი გარემოს ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის კონსტრუქციაზე ანუ არმატურაზე მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება, როგორც „**არა**“, ხოლო პერიოდულად დასველების შემთხვევაში, როგორც „**სუსტი**“. ამავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე ს.ნ. და წ. მიხედვით მოცემულ სინჯში ფასდება, როგორც „**საშუალო**“.

ანალიტიკოსი მ. მარდაშოვა

IV. დასკვნები და რეკომენდაციები

1. საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის მიხედვით განეკუთვნება საშუალო (II) სირთულის კატეგორიას.

2. საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის მანგლისი-თბილისის ქვეზონის ფარგლებში.

3. საკვლევი უბნის და მის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში თანამედროვე საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების კვალი ამჟამად არ აღინიშნება. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უბანი მდგრადია და არსებული პირობები მშენებლობისათვის მისაღებია.

4. საკვლევ უბანზე ჭაბურღილებში, გრუნტის წყლები არ გამოვლინდა. თიხების კონტაქტში არგილიტებთან და ქვიშაქვებთან, გრუნტის ტენიანობის უმნიშვნელო მატებას ჰქონდა ადგილი, აქედან გამომდინარე შესაძლებელია სეზონური მცირე წყალგამოვლინებების წარმოშობა.

5. შენობის საფუძვლის გრუნტად შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სგე-1-ის თიხნარები, რომელთა საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=2.0კგძ/სმ^2; სგე-2-ის თიხები (ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების ელუვიონი), მათი საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=2.5კგძ/სმ^2; ასევე სუსტად გამოფიტული ნახევრად კლდოვანი ქანები (ქვიშაქვები და არგილიტები), რომელთა ზღვრული წინაამღდეგობა ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს R_s= 36.12 კგძ/სმ^2.

ცხრილში ქვემოთ მოყვანილია ფუძე-გრუნტების ყველა ძირითადი მახასიათებლები.

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები				
		ინდექსი	განზ.ერთ.	სგე-1	სგე-2	სგე-3
1	სიმკვრივე ბუნებრივი	ρ	გ/სმ³	1.80	2.03	2.34
2	სიმკვრივე ჩონჩხის,	ρ_d	გ/სმ³	1.59	1.69	-
3	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ²	0.187	0.49	-
4	შინაგანი ხახუნის კუთხე	φ	გრად.	20⁰42’	18⁰59’	-
5	კონსისტენციის მაჩვენებელი	J_L	ერთ.ნაწ.	<0	0.04	-
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ	0.690	0.610	-
7	წყალშემცველობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ	0.54	0.88	-
8	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ²	190.0	260	-
9	საანგარიშო წინაღმდეგობა	R_0	კგძ/სმ²	2.0	2.5	-
10	ზღვრული წინააღმ. ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯ. მდგომარ.	R_{SW}	კგძ/სმ²	-	-	36.12
11	საგების კოეფიციენტი	K	კგ/სმ³	0.5	3.0	40.0
12	პუასონის კოეფიციენტი	μ	-	0.36	0.41	0.25

6. შენობის დასაფუძნებლად შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც რკინა-ბეტონის ფილა, ასევე წერტილოვანი ტიპის საძირკვლები (ხიმინჯების ან ანაკრები ტიპის). როგორც რკინა-ბეტონის ფილის, ასევე წერტილოვანი ანაკრები ტიპის საძირკვლების სგე-1-ის თიხნარებზე ან სგე-2-ის თიხებზე განთავსების შემთხვევაში, აუცილებელია ხრეშოვან-ღორღოვანი-კენჭნაროვანი ბალასტის ბალიშის მოწყობა. ეს უკანასკნელი უნდა დაიტკეპნოს მცირე სისქის (15-20 სმ) ფენებად მაქსიმალურ სიმკვრივემდე, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ოპტიმალური ტენიანობის პირობებში. რაც შეეხება წერტილოვანი ტიპის (ხიმინჯები) საძირკვლებს, სგე-3-ს გრუნტებში, მათი ჩაღრმავება აუცილებელია სუსტად გამოფიტულ ნახევრად კლდოვან ქანებში 2.0-2.5 მ-ის სიღრმემდე და უნდა განხორციელდეს გეოლოგის ზედამხედველობის პირობებში.

7. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას, შესაბამისად საფუძვლის გრუნტების სეისმური თვისებების და რეგიონის სეისმურობის გათვალისწინებით საამშენებლო მოედნის სეისმურობად მისაღებია - 8 ბალი. (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. საამშენებლო ნორმებისა და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ.

ინჟინერ-გეოლოგი ბ. დევდარიანი

დანართი 1

გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის შედეგები

რიგის №	ნიმუშის აღების ადგილი		ლაბორატორიის N	გრანულომეტრიული შემადგენლობა, % ფრაქციათა ზომები, მმ-ში																ფრაქციების შემცველობა, %	
				ღორღი, კენჭები				ხვინჭა, ხრეში				ქვიშა					მტვერი		თიხა			
	ჭაბურღ. №	სიღრმე, მ		> 60	60-40	40-20	20-10	10-7	7-5	5-3	3-2	2-1	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	0.005-0.001	< 0.001	d>2 მმ-ზე მსხვილმარცვლოვანი	d<2 მმ-ზე წვრილმარცვლოვანი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
				სგე-1, თიხნარი																		
საშუალო					0.4	1.2	3.9	3.4	5.9	2.7	9.1	2.3	3.5	3.0	5.7	12.8	9.6	11.0	10.3	15.2	26.6	73.4
				ღორღი -5.5%				ხვინჭა -21.1%				ქვიშა -27.3%					მტვერი-20.6%		თიხა-25.5.%			
				სგე-2, თიხა (კლდ. ქანების ელუვიონი)																		
საშუალო				-	5.0	4.8	4.9	3.8	5.9	2.7	0.7	-	1.0	2.0	2.3	12.8	4.6	5.0	30.3	23.2	31.6	68.4
				ღორღი -18.5%				ხვინჭა -13.1%				ქვიშა -5.3%					მტვერი-9.6%		თიხა-53.5.%			

დანართი 2

გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი

№ რიგისა	ლაბორატორიული №	გამონამუშევრის №	ნიმუშის აღების სიღრმე მ.	გრუნტის დასახელება	ბუნებრივი ტენიანობა %	პლასტიკურობის ზღვრები			ფორიანობა, %	ფორიანობის კოეფიციენტი	წყალმემცველობის ხარისხი	სიმკვრივე გ/სმ³			კონსისტენციის მაჩვენებელი	კომპრესიული მონაცემები			სიმტკიცის მახასიათებლები			სანგ. წინააღმდეგობა კგძ/სმ²	ზღვრ. წინააღმ. ერთღერძა კუმშ- ვაზე, კგძ/სმ²		
						ზედა	ქვედა	რიცხვი				მინერ. ნაწილის	ბუნებრივი	ჩონჩხის		ფარდობ. დეფორმაცია	კუმშვადობის კოეფიც.სმ²/კგძ	დეფორმაციის მოდული	შიდა ხახუნის კუთხე გრად.	შიდა ხახუნის კოეფიციენტი	შეჭიდულობა, კგძ/სმ²		ბუნებრივი ტენიანობის პირობებში	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში	დარბილების კოეფიც.
1	2	3	4	5	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
-	-	-	-	-	W	W_L	W_P	Jp	n	e	Sr	ρ_s	ρ	ρ_d	J_L	ε	a	E	φ^0	tgφ	C	R_0	Rs	R_{sw}	K_{soft}
1	48	1	1.5	სგე-1, თიხნარი	15.6	0.31	0.18	0.13	38.5	0.628	0.66	2.67	1.90	1.64	<0	-	-	-	18^0	0.3249	0.39	-	-	-	-
2	49	2	2.2		15.4	0.31	0.18	0.13	42.3	0.733	0.56	2.67	1.78	1.54	<0	-	-	-	18^0	0.3249	0.42	-	-	-	-
3	50	3	1.9		12.8	0.30	0.16	0.14	37.8	0.608	0.56	2.67	1.87	1.68	<0	-	-	-	20^0	0.3640	0.50	-	-	-	-
4	51	,,-,	2.7		13.0	0.30	0.16	0.14	41.9	0.722	0.48	2.67	1.75	1.55	<0	-	-	-	19^0	0.3443	0.45	-	-	-	-
5	52	4	1.2		13.5	0.31	0.17	0.14	42.3	0.733	0.49	2.67	1.74	1.54	<0	-	-	-	17^0	0.3057	0.35	-	-	-	-
6	53	5	1.7		13.8	0.31	0.17	0.14	41.5	0.711	0.51	2.67	1.76	1.56	<0	-	-	-	17^0	0.3057	0.38	-	-	-	-
-	-	-	-	საშუალო	14.0	0.31	0.17	0.14	40.7	0.690	0.54	2.67	1.80	1.59	<0	-	-	-				-	-	-	-
1	54	1	2.5	სგე-2, თიხა(მღორ გამოფ. ნან. კლდ. ქანების ელუვიონი	21.3	0.38	0.20	0.18	39.0	0.629	0.92	2.72	2.03	1.67	-0.07	-	-	-	16^0	0.2867	0.43				
2	55	2	6.0,		18.2	0.39	0.20	0.19	36.0	0.554	0.89	2.72	2.07	1.75	-0.09	-	-	-	16^0	0.2867	0.45				
3	56	3	2.7		23.0	0.37	0.20	0.17	40.0	0.669	0.94	2.72	2.0	1.63	0.19	-	-	-	15^0	0.2679	0.40				
4	57	,,-,,	4.5		19.4	0.40	0.21	0.19	38.0	0.609	0,87	2.72	2.02	1.69	0.08	-	-	-	14^0	0.2493	0.38				
5	58	4	5.0		18.0	0.37	0.20	0.17	38.0	0.619	0.79	2.72	1.98	1.68	0.10	-	-	-	16^0	0.2867	0.42				
6	59	5	7.0		19.0	0.39	0.20	0.19	37.0	0.581	0.89	2.72	2.05	1.72	0.07	-	-	-	17^0	0.3057	0.50				
-	-	-	-	საშუალო	19.8	0.38	0.20	0.18	38.0	0.610	0.88	2.72	2.03	1.69	0.38	-	-	-							
1	31	1	7.5	სგე-3, გამოფ-ტული ქვიშაქვე-ბი და სუბარგი-ლიტები	-	-	-	-	-	-	-	-	2.38	-	-	-	-	-	-	-	-	-	110.3	66.2	0.60
2	32	,,-,,	,,-,,		-	-	-	-	-	-	-	-	2.28	-	-	-	-	-	-	-	-	-	51.1	29.6	0.58
3	33	2	9.0		-	-	-	-	-	-	-	-	2.39	-	-	-	-	-	-	-	-	-	132.5	79.5	0.60
4	34	,,-,,	,,-,,		-	-	-	-	-	-	-	-	2.29	-	-	-	-	-	-	-	-	-	70.3	42.2	0.58
5	35	3	8.3		-	-	-	-	-	-	-	-	2.41	-	-	-	-	-	-	-	-	-	152.6	93.1	0.61
6	36	,,-,,	,,-,,		-	-	-	-	-	-	-	-	2.30	-	-	-	-	-	-	-	-	-	85.5	50.4	0.59
-	-	-	-	საშუალო	-	-	-	-	-	-	-	-	**2.34**	-	-	-	-	-	-	-	-	**-**	**100.4**	**60.2**	**0.60**

დანართი 3

ფიზიკური მახასიათებლების ექსპერიმენტული მონაცემების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით
დამუშავების შედეგები სტანდარტის 20522-75 მიხედვით

N	გეოტექნიკური მახასიათებლები	ექსპერიმენტ. რ-ბა, **n**	ვარიაციის კოეფიციენტი. **ν**	სშ. კვადრ.გადახრა, **σ**	სშ.კვადრ.გადახრის გადაად. შეფასება $\sigma_{გად.}$	პირობის $\|\bar{A}-A_i\|<\nu\,\sigma_{გად.}$ დაკმაყოფ. რაოდ-	მახასიათებლის ნორმატიული სიდიდე $A^{ნ}$	საშ. მნიშვნ. შეფასების სიზუსტის მაჩვენებელი ცალმხრივი **α** სანდო **P** ალბათობის პირობებში			საანგარიშო სიდიდე, $A^{ს}$		
								α=0.85	α=0.95	α=0.99	α=0.85	α=0.95	α=0.99
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
	სგე-1, თიხნარი												
1	ბუნებრივი სიმკვრივე, **ρ** გ/სმ³	6	0.038	0.068	0.062	6	1.80	-	0.031	-	-	1.86-1.74	-
2	ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d გ/სმ³	6	0.039	0.06	0.055	6	1.59	-	0.031	-	-	1.64-1.54	-
3	ფორიანობის კოეფიციენტი, **e**	6	0.081	0.056	0.051	6	0.690	-	0.067	-	-	0.736-0.644	-
4	ტენიანობა,**W** %	6	0.086	1.204	1.099	6	14.0	-	0.07	-	-	15.0-13.0	-
5	პლასტიკურობის რიცხვი J_P	6	0.045	0.0063	0.0058	6	0.14	-	0.037	-	-	0.145-0.135	
	სგე-2, თიხა (წახ.კლდ. ქანების ელუვიონი)												
1	ბუნებრივი სიმკვრივე, **ρ** გ/სმ³	6	0.016	0.330	0.030	6	2.03	-	0.013	-	-	2.06-2.00	-
2	ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d გ/სმ³	6	0.02	0.04	0.03	6	1.69	-	0.02	-	-	1.72-1.66	-
3	ფორიანობის კოეფიციენტი, **e**	6	0.065	0.039	0.036	6	0.610	-	0.053	-	-	0.643-0.577	-
4	ტენიანობა,**W** %	6	0.099	1.95	1.78	6	19.8	-	0.081	-	-	21.4-18.2	-
5	პლასტიკურობის რიცხვი J_P	6	0.0	0.009	0.008	6	0.18	-	0.04	-	-	0.19-0.17	

დანართი 4

სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
